ISSN 1512-1801

სამართალი - ბუნებაში არსებული ფენომენი თუ ადამიანის მიერ შექმნილი სისტემა?
სამართლის წარმოშობის ახლებური გააზრების ასპექტში

გიორგი გ. თუმანიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)
ევროპის აკადემია (საქართველო)
მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)

აბსტრაქტი:

რას წარმოადგენს სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ და რა სახის კანონები მოქმედებს მასში. რით იყო დეტერმინირებული სამართლის წარმოშობა და როგორ წარმოიშვა იგი. სამართლიანობა და სამართალი - არსებობენ თუ არა ისინი, თუნდაც განზოგადებული სახით, სამყაროში, რომელშიც არ არსებობს ადამიანი. რა ფსიქო-ფსიქოლოგიურმა წინაპირობებმა განაპირობა სამართლის, როგორც კონსტრუქციის, შექმნის აუცილებლობა. წარმოდგენილი ნაშრომი ეხება ზემოჩამოთვლილ კითხვებზე პასუხის ძიებას, ხოლო ნაშრომში განვითარებული მსჯელობა გვთავაზობს თითოეულ დასმულ საკითხზე შესაბამის პასუხს. ნაშრომი წარმოადგენს კვლევას სამართლის ფილოსოფიისა და სამართლის თეორიის ჭრილში, ფსიქოლოგიის, მათემატიკისა და ფიზიკის მეცნიერებათა კვეთის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: *სამართალი, წარმოშობა, სამყარო*

ბუნებაში, განსახილველ შემთხვევაში კი სამყაროში[1], არსებობს მოძრაობა[2], არსებობს წესები,[3] რომელთა ნაწილს ჩვენ ვიყენებთ ფიზიკაში, რომლებიც აღწერილია ადამიანთა მიერ, მაგრამ მიუხედავად ამ აღწერისა, ისინი არსებობენ დაუწერელი სახით.

სამართლიანობა იმ სუბიექტების გარეშე, რომლებიც შეაფასებენ ამა თუ იმ მოქმედებას სამართლიანად ან უსამართლოდ - არ არსებობს. არ შეიძლება სივრცეში არსებული საგანი (ქვა, ხე, მზე და ა.შ.) იყოს სამართლიანი, ან უსამართლო. არსებობს ბუნებითი კანონები, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვთ კანონის დოქტრინულ ცნებასთან (ეს უფრო კანონზომიერებებია).

[1] სიტყვები ბუნება და სამყარო, წარმოდგენილ ტექსტში მოცემულია როგორც სინონიმები.

[2] სიტყვა-ტერმინი მოძრაობა გამოყენებულია უძრაობის ანტონიმის მნიშვნელობით.

[3] ტექსტში სიტყვები წესი და კანონი ზოგჯერ გამოიყენება, როგორც სინონიმები, სიტყვა-ტერმინ კანონს გამოყენების სპეციფიკის მიხედვით წინ ერთვის ზეთსართავი სახელი და აკონკრეტებს გამოყენების შედარებით ვიწრო მნიშვნელობას, მაგ: ფიზიკის კანონები, იურიდიული კანონები, ქიმიის კანონები. სიტყვა-ტერმინის სამართლებრივი თვალსაზრისით ყველაზე ვიწრო გამოყენება (ზეთსართავი სახელის გარეშე) მოიაზრებს: ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ, დადგენილი წესის შესაბამისად მიღებულ იურიდიული ძალის სამართლის ნორმას, რომელიც გამოხატავს საზოგადოების უმრავლესობის ნებას (რამეთუ კანონშემოქმედებით ორგანოს ირჩევს საზოგადოება) და რომელიც არეგულირებს ყველაზე მნიშვნელოვან (აქტუალურ) საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

ISSN 1512-1801

ის, რომ სამყაროში ყველაფერი პირობითად ანტაგონისტურია, ადამიანის აღქმის თავისებურებიდან მომდინარეობს: სინათლე-სიბნელე - ამ მაგალითის პირობებში ჩვენ ვუშვებთ სიბნელეს, როგორც არსებულს; თუმცა სამყაროში ის მხოლოდ სინათლის უკმარისობაა, ხოლო ადამიანის ფსიქიკაში იგი სინათლის ანტონიმია და ანტაგონისტურია.

სამართალი არ არსებობს ისეთ სამყაროში, რომელშიც არ არსებობენ განვითარებული ფსიქიკის მქონე ცოცხალი ორგანიზმები. ხოლო ფსიქიკის განვითარების შესაბამის ეტაპზე ცოცხალი ორგანიზმის ფსიქიკაში ჩნდება სხვადასხვაგვარი განცდები და ემოციები, მათ შორის უსამართლობისა და სამართლიანობის სუბიექტური აღქმა-გააზრება. უსამართლობის განცდის ხარისხობრივი და თვისობრივი შემცირებისათვის აუცილებელია ისეთი ჟესტიკულაციური, ვერბალური, ან შემდგომ წერილობითი ინსტრუმენტის შექმნა, როგორიცაა სამართალი. საკითხის უკეთ გასაგებად და თემის ძირითად კითხვაზე: თუ რა არის სამართალი და არსებობს თუ არა იგი სამყაროში, სადაც ადამიანები არ არსებობენ და რამ/ვინ და როგორ განაპირობა პოზიტიური სამართლის წარმოშობა? პასუხის გასაცემად პირველ რიგში უნდა ვისაუბროთ (საბაზისო დონეზე აღვწეროთ) იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ? რა არის დროის ფენომენი და როგორ აღიქმება იგი ადამიანის მიერ? რა არის მოძრაობა, კანონზომიერება, ქაოსი, წესრიგი და სამართლიანობა? რას ნიშნავს სამყაროს პერსონიფიცირებული აღქმის ფენომენი? არის თუ არა სამართლიანობა სამართლის წარმოშობის წინაპირობა? როგორია პოზიტიური სამართლის შექმნის აუცილებლობის ფსიქოლოგიური ასპექტები და როგორია მისი მოქმედების ხანგრძლივობა? ყოველივე ზემოჩამოთვლილის აღწერა და ურთიერთშედარება, დაგვეხმარება ძირთად კითხვაზე პასუხის მიღებაში.

სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ

ნებისმიერი მოვლენა, რომელსაც განვიხილავთ ან მივაპყრობთ ყურადღებას, გვევლინება ანარეკლად ჩვენს გონებაში. ის, რისი არეკვლაც ან შედარებაც გონებას არ შეუძლია, ჩვენთვის/ჩვენი გონებისათვის აღქმადი არაა.

ჩვენთვის სამყაროს რეალობა შეზღუდულია ჩვენი გონების შესაძლებლობებით. ამ ეტაპზე ჩვენთვის სამყაროა ყველაფერი მატერიალური, რაც ჩვენ გარშემო იმყოფება (წყალი, მიწა, ჰაერი, ცეცხლი, გამოსხივება, ეთერი და ა.შ), მათ შორის ის, რაც დედამიწის ფარგლებს გარეთაა - კოსმოსური სივრცე, პლანეტები, ვარსკვლავები. უსასრულო, უკიდეგანო მატერია, რომელიც ყველაზე უჩვეულო და მრავალფეროვანი ფორმებით გვევლინება და არსებობს. მეცნიერთა უმრავლესობა ფიქრობს/თვლის, რომ სამყაროს არსებობა დიდი აფეთქებიდან დაიწყო. დაახლოებით 14-15 მილიარდი წლის წინ.[4]

[4] 1927 წ. ბელგიელმა მღვდელმა და მათემატიკოსმა ჟორჟ ლამეტრმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სამყარო წარმოიქმნა აფეთქების შედეგად. 1929 წ. ედუინ ჰაბლმა გააკეთა აღმოჩენა, რომ ვარსკვლავები გამოსცემდნენ მოწითალო ფერს. ეს ნიშნავდა, რომ ვარსკვლავები დედამიწას შორდებიან. თანახმად ფიზიკის კანონებისა, სინათლის სხივი დაკვირვების წერტილისკენ მოძრაობისას სპექტრის ხილულ დიაპაზონში იხრება იისფერისკენ, დაშორებისას კი წითლისკენ. 1948 წ. გიორგი გამოვმა გამოთქვა ვარაუდი, რომ „თუ სამყარო წარმოქმნილია ასეთი კოლოსალური აფეთქების შედეგად, მაშინ კოსმოსში უნდა იყოს შემორჩენილი რაიმე კვალი, ანუ რადიაციის გარკვეული რაოდენობა. უფრო მეტიც; ეს რადიაცია თანაბრად უნდა იყოს

ISSN 1512-1801

სამყარო - ეს არის უზარმაზარი სივრცე, რომელიც სავსეა ვარსკვლავებით, პლანეტებით, გალაქტიკებით, შავი ხვრელებით. ყველა ეს შემადგენელი ურთიერთზემოქმედებს და ერთიანობაში ქმნის ერთ მთელს - სამყაროს. როგორც 1998 წელს გაკეთებულმა აღმოჩენამ[5][6] ცხადყო, სამყარო გამუდმებით ფართოვდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვარსკვლავები, პლანეტები, გალაქტიკები, რომლებიც შედიან სამყაროს შემადგენლობაში, თანდათანობით შორდებიან ერთმანეთს სხვადასხვა მიმართულებით. ამით კი ფართოვდება სამყაროს ხილული საერთო სივრცეც. სამყაროს, დღეისათვის არსებული სამეცნიერო ცოდნის ფარგლებში, არ გააჩნია საზღვრები, ასევე, დღესდღეობით არავის განუსაზღვრავს სამყაროს ცენტრი.

სამყარო - ეს არის ერთიანი სისტემა, სადაც მოქმედებს გარკვეული წესები, რომლებსაც ჩვენ ზოგჯერ კანონზომიერებებს ვუწოდებთ, მათ ნაწილს ხსნის ფიზიკა, ასეთ დროს მათ უკვე ფიზიკის კანონებს უწოდებენ. მარტივად რომ ვთქვათ: მაღალ ტემპერატურაზე წყალი დუღილს რომ იწყებს, ხოლო ყინვაში ყინულის ნატეხად გარდაიქმნება - ეს ბუნების (ფიზიკის) კანონია, ხოლო ის, რაც ყოველ შემთხვევაში, იმავე/მსგავს პირობებში, ერთნაირად მეორდება - კანონზომიერება. შეუძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს წყალი სიცხისგან ყინულის ნატეხად იქცეს, ან/და ყინვისაგან ადუღდეს. მეცნიერები მრავალი საუკუნის განმავლობაში ცდილობდნენ ამოეხსნათ და თეორიებად ჩამოეყალიბებინათ ფიზიკის კანონები. პირობითად შეგვიძლია გამოვყოთ ფიზიკის შემდეგი ძირითადი კანონები: ა) მექანიკის კანონი; ბ) მოლეკულარული ფიზიკისა და თერმოდინამიკის კანონები; გ) ელექტროობისა და მაგნეტიზმის კანონები; დ) ოპტიკის კანონები; ე) ატომთა და ბირთული ფიზიკის კანონები (თეორიები).

ენერგიის მუდმივობის კანონი - ნებისმიერი ჩაკეტილი სისტემის ენერგია, ამ სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესის მიუხედავად, რჩება მუდმივი (ნარჩუნდება). ენერგიას მხოლოდ ის შეუძლია, რომ ერთი ფორმიდან გარდაიქმნას/გადაიქცეს მეორე(სხვა) ფორმად ან/და გადანაწილდეს სისტემის სხვადასხვა ნაწილებს შორის. გახსნილი სისტემისათვის

გაფანტული მთელს კოსმოსში“. 1965 წელს არნო პენსიასმა და რობერტ უილსონმა ეს ტალღები შემთხვევით აღმოაჩინეს და დაიმსახურეს ნობელის პრემია, რადიაცია, რომელსაც უწოდეს „ფონური კოსმოსური გამოსხივება“ (რელიქტური რადიოგამოსხივება). ეს გამოსხივება არ მოდის რაიმე წყაროდან, არამედ მთელს კოსმოსშია „გაფანტული“. აღმოჩენამ ნათლად დაადასტურა, რომ ეს რადიაცია შემორჩენილია „დიდი აფეთქებიდან“. 1989 წელს ნასამ (NASA) „ფონური კოსმოსური გამოსხივების“ გამოსაკვლევად კოსმოსში გაუშვა თანამგზავრი COBE, რომელმაც დაადასტურა პენსიასის და უილსონის გამოთვლები. 1990 წელს ამერიკის აეროკოსმოსურმა სააგენტომ (NASA) კოსმოსში გაუშვა ტელესკოპი „Hubble Space Telescope“ (სახელი ეწოდა ედუინ ჰაბლის პატივსაცემად). უნიკალური ორბიტალური ტელესკოპი მეცნიერებას დაეხმარა ურთულეს პრობლემათა ამოხსნაში. მისი მეშვეობით განისაზღვრა სამყაროს სავარაუდო ასაკი; განისაზღვრა ჰაბლის კონსტანტა — სამყაროს გაფართოების სიჩქარე; მისი მეშვეობით აღმოჩენილი იქნა კოერენტული სტრუქტურის ობიექტები — პროტოგალაქტიკები, რომელთა ასაკიც ახლოსაა სამყაროს წარმოშობის ასაკთან. 1998 წელს ბერკლის და კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გააკეთეს კიდევ ერთი სენსაციური აღმოჩენა, რომლის მიხდვით სამყაროს გაფართოების სიჩქარე თანდათან იზრდება.

[5] *Supernova Cosmology Project*. (2016). *Supernova.lbl.gov*. Retrieved 6 June 2016, from http://supernova.lbl.gov/

[6] Bloom, F. (1998). Breakthroughs 1998. *Science*, *282*(5397), 2193-2193. http://dx.doi.org/10.1126/science.282.5397.2193

ISSN 1512-1801

მისი ენერგიის გაზრდა/შემცირება ტოლია იმ სხეულთა, ან ფიზიკურ ველთა ენერგიის კლება/ზრდისა, რომლებთანაც ეს სისტემა ურთიერთზემოქმედებს.

არქიმედეს (ჰიდრო და აეროსტატიკის) კანონი - სხეულზე, რომელიც მოთავსებულია სითხეში ან აირში, მოქმედებს ამომგდები ძალა, რომელიც მიმართულია პირდაპირ ზემოთ; ეს ძალა სიმძლავრით ტოლია სითხის, ან აირის წონისა, რომელიც განდევნილია (შევიწროებულია) სხეულით. F=V, სადაც F-სითხის ან აირის სიმკვრივეა, ხოლო V-მოთავსებული სხეულის მოცულობაა. სხვანაირად რომ ვთქვათ: სითხეში ან გაზში მოთავსებული სხეული თავისი წონიდან კარგავს იმდენს, რამდენსაც იწონის ამ სხეულით განდევნილი(შევიწროებული) სითხე, ან აირი.

მიზიდულობის კანონი - ყველა სხეული ერთმანეთს მიეზიდება ამ სხეულთა მასის მიერ წარმოქმნილი ძალის შესაბამისად და ამ სხეულთა შორის არსებული მანძილის კვადრატის პირდაპირპროპორციულად.

ასევე, ნიუტონის სამი კანონი, რომლებიც მექანიკის კანონთა სათავედ მოიაზრება. პირველი: ინერციის კანონი - მატერიალური წერტილი იმყოფება თანაბარი მოძრაობის, ან უმოზრაობის მდგომარეობაში, თუ მასზე არ ზემოქმედებენ სხვა სხეულები; მეორე: (დინამიკის ფუძემდებლური) კანონი - სხეულით მიღებული აჩქარება პირდაპირპროპორციულია ყველა ზემოქმედი ძალისა, რომლებიც თავის მხრივ ზემოქმედებენ ამ სხეულზე, ემთხვევა მას მიმართულებით და უკუპროპორციულია სხეულის მასისა. მესამე კანონი: ორი მატერიალური წერტილი ურთიერთზემოქმედებს ერთმანეთზე ბუნების ძალებით, რომლებიც ტოლია ზომითა და ურთიერთსაპირისპირო სისწორის გასწვრივ მიმართულებით, რომელიც აერთიანებს ამ წერტილებს.

ფარდობითობის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი პოსტულატი; ნებისმიერი ინერციული ათვლის სისტემაში, ყველა ფიზიკური მოვლენა ერთსა და იმავე პირობებში ხდება ერთნაირად (ვრცელდება ყველა ფიზიკურ მოვლენაზე). მექანიკური (კლასიკური მექანიკის) პრინციპები - ნებისმიერი ინერციული ათვლის სისტემაში, ყველა მექანიკური მოვლენა ხდება ერთანაირად/ერთგვარად ერთსა და იმავე პირობებში. ფარდობითობის თეორიამ გამოააშკარავა მოძრავი ობიექტის სივრცული და დროითი მახასიათებლების დამოკიდებულება ათვლის სისტემის მიმართ ამ ობიექტის სიჩქარეზე და შემოიღო სივრცისა და დროის ერთიანი ოთხგანზომილებიანი კონტინუუმი – სივრცე–დრო. ყველა პროცესისათვის სივრცულ–დროითი კანონზომიერებანი ერთნაირია, რაც საშუალებას გვაძლევს, ვილაპარაკოთ სივრცე–დროის თვისებებზე.

ავოგადროს (იდეალური აირების ერთ-ერთი ძირითადი) კანონი - ტოლი მოცულობის სხვადასხვა აირის შემადგენლობაში ერთსა და იმავე ტემპერატურასა და წნევაზე თანაბარი/ერთისა და იმავე რაოდენობის მოლეკულებია.

ISSN 1512-1801

პასკალის ჰიდროსტატიკის კანონი - ზეწოლა, რომელიც ხორციელდება სითხის ან აირის ზედაპირზე გარე ძალებით, ერთნაირად გადაეცემა ყველა მიმართულებით.

ჯოულ-ლენცის კანონი - სითბოს ოდენობა, რომელიც გამოიყოფა გამტარებში მუდმივი დენის გავლისას, პირდაპირპროპორციულია დენის ძალის კვადრატისა, გამტარის წინაღობისა და დენის გასვლის დროისა.

ოპტიკის კანონები:
სინათლის წრფივად გავრცელების კანონი - ერთფეროვან/ერთსა და იმავე გარემოში სინათლე ვრცელდება სწორხაზოვნად;

სინათლის არეკვლის კანონი - დაცემული და არეკვლილი სხივები, და ასევე, ორი გარემოს გამყოფი ზედაპირის სხივის დაცემის წერტილში აღმართული მართობი ერთ სიბრტყეში მდებარეობს (დაცემის სიბრტყე). არეკვლის γ კუთხე დაცემის α კუთხის ტოლია.

ნილს ბორის ძირითადი პოსტულატი - ატომთა სისტემა მდგრადია მხოლოდ სტაციონარულ მდგომარეობებში, რომლებიც შეესაბამება ატომთა ენერგიის მნიშვნელობის დისკრეციულ თანმიმდევრობას. ამ ენერგიის ყოველი ცვლილება დაკავშირებულია ატომთა გადასვლასთან ერთი სტაციონარული მდგომარეობიდან მეორე სტაციონარულ მდგომარეობაში.

სამყაროში შემთხვევით თითქმის არაფერი ხდება, უბრალოდ ადამიანებს გვიჭირს აღვიქვათ და გავიაზროთ სამყაროს მიერ ჩვენთვის შემოთავაზებული მოვლენათა რთული კომბინაციები. ხანძარი, ავარია, მათ შორის სიკვდილიც კი გარკვეულ მიზეზ-შედეგობრივ მოვლენათა შედეგია(ერთ-ერთი რგოლია). ერთმანეთთან სრულებით დაუკავშირებელ/ალოგიკურ მოვლენათა ჯაჭვს თუ გავყვებით, უკუმიმართულებით აღმოვაჩენთ, რომ ერთი შეხედვით ალოგიკური და უცნაური მოვლენებიც სრულიად ლოგიკური და კანონზომიერია. მაგ.: ავტოსაგზაო შემთხვევა ხდება გარკვეულ მიზეზთა გამო და არა შემთხვევით. უბრალოდ ადამიანის გონება ყველა შემთხვევაში ვერ აღიქვამს ამ მიზეზთა მნიშვნელობას.

სამყაროს ზოგადი აღწერისას ჩვენ დავინახეთ, რომ მასში მოქმედებს გარკვეული კანონები. ეს კანონები წარმოიშვა დასაწყისიდანვე(პირობითად სამყაროს წარმოშობიდანვე)[7] და უცვლელად განაგრძობენ არსებობა-მოქმედებას. ადამიანებს არ ძალგვიძს მათი უმრავლესობის თავიდან წარმოქმნა, შეცვლა ან შეწყვეტა/გაუქმება. ისინი თვით სამყარომ წარმოქმნა და უკვე მზა ფორმით/სახით შემოგვთავაზა ჩვენ და არა მხოლოდ ჩვენ. კანონზომიერება სამყაროს ერთ-ერთი თვისებაა და იგი, როგორც არსებული ფენომენი, არ არის ადამიანის მიერ ხელოვნურად შექმნილი.

[7] შემთხვევაში, როდესაც მოვიაზრებთ, რომ სამყარო ოდესღაც წარმოიშვა.

ISSN 1512-1801

ადამიანს, როგორც გონიერ და შემოქმედ არსებას, შესწევს უნარი, ქმნას/წარმოქმნას ახალი, ჯერ არარსებული, უკვე არსებული გარდაქმნას ან გაანადგუროს. ადამიანის გონის შემოქმედებაა: ლიტერატურული, მხატვრული და ფილოსოფიური ნაწარმოებები, ასევე, არქიტექტურა, ინჟინერია, ქირურგია, იურისპრუდენცია და ა. შ. ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები უნიკალურს ხდის მას მატერიალურ სამყაროში და აძლევს მას განვითარების დიდ შესაძლებლობებს.

დროის ფენომენი

დრო თანამედროვე მეცნიერთათვისაც ამოუხსნელი მოვლენაა. ჯერ კიდევ მიმდინარეობს მსჯელობა და კამათი დროის ობიექტური არსებობის შესახებ. არსებობს არაერთი მოსაზრება, გამოვყოფ ორ ძირითადს:

<u>მოსაზრება A</u> - დრო არსებობს ობიექტური ფორმით, იმ სუბიექტის გარეშეც, რომელიც მას აღიქვამს/აკვირდება;

<u>მოსაზრებაც B</u> - დრო, როგორც ასეთი, არ არსებობს, იგი არ არსებობს ობიექტური ფორმით, არსებობს მხოლოდ პერიოდები/მონაკვეთი მოვლენიდან მოვლენამდე. უხეშად რომ ვთქვათ, ეს იგივეა, რაც სიგრძე ა პუნქტიდან ბ პუნქტამდე. ფარდობითობის თეორიაში დრო ხდება მეოთხე(მოჩვენებითი) კოორდინატა(განზომილება) და მიედინება სხვადასხვანაირად, იმ ობიექტების სიჩქარის მიხედვით/შესაბამისად, რომელებიც აკვირდებიან/აღიქვამენ დროს, უფრო ზუსტად კი, დრო სუბიექტებისათვის მიედინება ერთნაირად, უბრალოდ ერთმანეთთან მიმართებაში იგი განსხვავდება/სხვადასხვაა. სუბიექტებისათვის ერთმანეთთან მიმართებაში დროის სხვადასხვანაირად დინება გამოწვეულია სივრცის გამრუდების გამო, ასევე, ძლიერი მიზიდულობის(მაგ.:შავი ხვრელი), ან სიჩქარის გამო(სინათლის სიჩქარის განვითარებისას).

თეორიები დროის არსებობის შესახებ

<u>A მოსაზების/თეორიის თანახმად,</u> დრო ებმის მოძრაობის ენერგიას აწმყოდან მომავლისაკენ (იქ, სადაც ენერგია არაა). დრო ესაა ცვლილებათა რაოდენობრივი მახასიათებელი, მაგრამ, თუ არ არის ცვლილებები, არ არის არც დრო. უცვლელობის (სადაც არ არსებობს ცვლილება) სამყაროში დრო არ არსებობს. ასევე, დრო არ არსებობს მომავალში, რამეთუ მასში(მომავალში) მოცემულ მომენტში არაფერი ხდება. არსებობს მხოლოდ „ნამდვილი დრო“, რომელიც განუწყვეტლივ იბადება/ჩნდება და უმალვე მიედინება წარსულში. დროის დაბადება - ეს არის ცვლილებების გაჩენა. ამ ცვლილებათა ბუნებით ხდება ინფორმაციის გარდაქმნა სტრუქტურულ ენერგიად. აწმყო არის ახლის დაბადება, რომელიც ხორციელდება „წარსული დროიდან“ მომდინარე ინფორმაციის საფუძველზე წარმოქმნილი „ახალი დროით“. წარსული არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მასში შენარჩუნდა ინფორმაცია აწმყოს სტრუქტურული ენერგიის შესახებ. დროის ძირითადი და უმთავრესი(უმარტივესი) თვისება არის მისი უნარი, წარმოქმნას (გარკვეული) წესრიგი. სამყარო დროის გარეშე - ეს არის ქაოსი, რომელშიც არ არის არც „ადრე“ და არც „გვიან“. მაგრამ როგორც კი ხდება ისე, რომ X მოვლენა მოხდა Y მოვლენაზე „ადრე“ ან „გვიან“,

ISSN 1512-1801

,,ჩნდება'' დროც (შეიძლება X და Y მოვლენა მოხდეს ერთდროულადაც). არსებობს მხოლოდ აწმყო, არ არსებობს არც წარსული და არც მომავალი. ამ მოსაზრების მიხედვით, დრო მატერიალურია, მისი დანახვა შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია მისი აღქმა, ასევე, მისი ზემოქმედების შემოწმება. დრო - ესაა განზომილება, რომელიც გადაჯაჭვულია სივრცის განზომილებასთან და ჩვენ ვმოძრაობთ მასზე და ვზომავთ მას მოვლენათა ცვალებადობით.

<u>B მოსაზების/თეორიის თანახმად,</u> სამყაროში ცვლილებებს იწვევს მიზეზშედეგობრივი კავშირები, დრო კი ობიექტური ფორმით არ არსებობს. მიზეზი/იმპულსი იწვევს პროცესს, რომელიც გვირგვინდება შედეგით და რომელიც, თავის მხრივ, სხვა პროცესისა და შედეგის მიზეზად შეიძლება იქცეს. მიზეზიდან შედეგამდე გარკვეული პერიოდის/მონაკვეთის განმავლობაში ვითარდება პროცესი. მოვლენიდან მოვლენამდე გარკვეული პერიოდია, მონაკვეთია. ამ პერიოდის/მონაკვეთის აღსანიშნავად პირობითად იყენებენ დროის ცნებას, რომელიც გარკვეულწილად იდენტურია სიგრძის ცნებისა. მაგალითად, ერთი წამი უდრის ერთ მილიმეტრს; ერთი წუთი - ერთ სანტიმეტრს; ერთი საათი - ერთ მეტრს. დრო არის მხოლოდ საზომი ერთეული, მსგავსად სიგრძისა. დროის მეშვეობით ზომავენ მონაკვეთს (პერიოდს) ერთი მოვლენიდან მეორე მოვლენამდე. ბუნებაში კი ობიექტური ფორმით(მატერიალური სახით) დრო არ არსებობს, ზუსტად ისე, როგორც არ არსებობს სიგრძე. მიზეზშედეგობრივი კავშირი იწვევს ცვლილებებს სამყაროში, რაც ქმნის ობიექტური ფორმით დროის არსებობის ილუზიას. ყოველ ცვლილებას (მოვლენას) წინ უსწრებს მიზეზი. არ შეიძლება მოვლენა წინ უსწრებდეს მიზეზს. ცვლილებებს იწვევენ მიზეზები, რომლებსაც მოჰყვება შესაბამისი შედეგები და არა „დრო". მაგალითად: სახლი ინგრევა არა იმიტომ, რომ მასზე ობიექტური ფორმით დრო ზემოქმედებს, აძველებს რა მას, გამოუსადეგარს ხდის, არამედ იმიტომ, რომ მასზე ზემოქმედებს გარემო სხვადასხვა პროცესით (მიწის ბიძგები, ატმოსფეროს ცვლილებები, წვიმა, ყინვა, სიცხე, ჰაერის წნევა და ა.შ.). ესაა სახლის შემადგენლობის/აგებულების ბუნებრივი ცვეთა გარკვეული პერიოდის (მონაკვეთის) განმავლობაში, სახლის რეაქცია მის გარშემო მიმდინარე პროცესებზე (იგივეა, რაც ცეცხლის წაკიდების გამო ხანძრის გაჩენა). ამ მოვლენებს შეიძლება კანონზომიერებანიც ვუწოდოთ. დრო არსებობს, როგორც აბსტრაქცია, როგორც პირობითი ერთეული (წუთი, საათი, კვირა, თვე, წელი), მაგრამ, როგორც მატერიალური ფენომენი, ობიექტური ფორმით დრო არ არსებობს. დრო გარკვეულწილად ფსიქიოლოგიური კონსტრუქციაა და ჩვენ ვმოძრაობთ მასზე სივრცის ველში და ვზომავთ მას მოვლენათა ცვალებადობით.

სივრცე უნდა ჩავთვალოთ ობიექტურ ფენომენად. ანუ სივრცე მოიაზრება არსებულად, იმ სუბიექტის გარეშეც, რომელიც მას აღიქვამს. ვინაიდან მოცემულ ნაშრომში ჩვენ არ ვაპირებთ, განვიხილოთ სივრცის საკითხები და პრობლემები, საკმარისია შევთანხმდეთ იმაზე, რომ შესაძლებელია გავარჩიოთ საგნები ობიექტურ სივრცეში იმ საგნებისაგან, რომლებიც არ არის სივრცობრივი, მაგალითად, რიცხვები. შესაძლებელია, მივიღოთ პასუხი კითხვაზე, თუ სად მდებარეობს სახლი, ან სად გადის მაგისტრალი, მაგრამ კითხვაზე, სად მდებარეობს რიცხვი 4, 8, ან 9 და ა.შ. პასუხს ვერ მივიღებთ (გამონაკლისს წარმოადგენს ორდინატთა ღერძი). თუმცა სივრცის ობიექტური ფორმით არსებობის

ISSN 1512-1801

შესახებაც გამოთქმულია საწინააღმდეგო მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც სივრცე არ არის მატერიალური და არ არსებობს ობიექტური ფორმით.

ადამიანის მიერ დროის/მოვლენიდან მოვლენამდე მონაკვეთის/პერიოდის აღქმა სტატიკური ცნება არ არის. ადამიანთა უმრავლესობა განსხვავებულად აღიქვამს დროს. დროის აღქმა იცვლება სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით. ითვლება, რომ ბავშვი, ზრდასრული ადამიანი და მოხუცი განსხვავებულად/სხვადასხვანაირად აღიქვამენ დროის სვლას/მოვლენიდან მოვლენამდე მონაკვეთს/პერიოდს. ბავშვისათვის დრო მიედინება ნელა, ზრდასრული ადამიანისათვის დრო მიედინება უფრო სწრაფად, ხოლო მოხუცისათვის გაცილებით სწრაფად. დროის/მოვლენიდან მოვლენამდე მონაკვეთის/პერიოდის სხვადასხვანაირად აღქმის განმაპირობებელი უამრავი ფაქტორი არსებობს. მაგალითად, დროის აღქმაზე შეიძლება მოქმედებდეს განათება, ამინდი, გადაადგილების სიჩქარე, მუსიკის რითმი, სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიის ადამიანებთან ურთიერთობა, სხვადასხვა ლიტერატურის კითხვა, (ადამიანის) ორგანიზმის მდგომარეობა (მაგ.:სიცხე, ტკივილი, გაღიზიანება) - ეს და სხვა ფაქტორები, რომელთა შესახებაც ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ, ზემოქმედებენ ადამიანის მიერ დროის აღქმაზე/შეგრძნებაზე. ფსიქოლოგიურად დროის სვლა ნელდება, თუ ადამიანი ინფორმაციის აღქმის პროცესში იმყოფება(ცხოვრობს) (ბავშვობაში ადამიანი ,,ღრუბელივით'' ისრუტავს ინფორმაციას, მისთვის ყოველი დღე სავსეა ახალი შთაბეჭდილებებით, ზრდასთან ერთად ადამიანი იწყებს მოქმედებათა ავტომატიზაციას, რის გამოც გარკვეულწილად რეზისტენტული ხდება ცვლილებების მიმართ, ნაკლებად სწავლობს გარემოს, ამიტომ ზრდასთან ერთად ადამიანისათვის დრო უფრო ჩქარა მიედინება). გარდა ამისა, საინტერესო სიტუაციაში ადამიანისათვის დრო/მოვლენიდან მოვლენამდე მონაკვეთი/პერიოდი გაცილებით ჩქარა გადის, ვიდრე უინტერესო სიტუაციაში. ეს ხდება იმიტომ, რომ ადამიანი(საინტერესო/უინტერესო სიტუაციებში) არ აღიქვამს მოცემული დროის მონაკვეთის მთელ ხანგრძლივობას. საინტერესო სიტუაციისას ადამიანის ყურადღება ერთი გამღიზიანებლიდან(ასეთი გამღიზიანებლები საინტერესო სიტუაციაში ძალიან ბევრია) მეორეზე ერთვება და ა.შ. ეს ელემენტები ერთიანდებიან ერთ მთლიან კომპლექსად, ისინი გრძელდებიან ხანგრძლივი დროის მონაკვეთის განმავლობაში, მაგრამ ადამიანის მიერ აღიქმება ერთ მთლიანად. ხოლო როდესაც ყურადღებას არ აქვს (საინტერესო) გამაღიზიანებლები (მაგ.,ლოდინისას), მაშინ ის ფოკუსირდება თვით დროის სვლაზე/მონაკვეთზე მოვლენიდან მოვლენამდე და ნაწევრდება პატარა მონაკვეთებზე, რომელთა ერთფეროვნება და თანმიმდევრულობაც ქმნის „დროის გაწელვის“ ილუზიას. ამასთან ერთად, საინტერესო და უინტერესო მოვლენების გახსენებისას არსებობს უკუეფექტიც. საინტერესო მოვლენების გახსენებისას ადამიანს მიაჩნია, რომ ისინი ხდებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ეს ხდება იმიტომ, რომ ბევრი კონკრეტული ფაქტი ახსენებს თავს. ხოლო უინტერესო მოვლენების გახსენებისას პირიქით - ადამიანს მიაჩნია, რომ ისინი ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ხდებოდა. ეს ხდება იმიტომ, რომ ყურადღებამ ფაქტები ვერ დააფიქსირა. დროის აღქმისა და გააზრების ეს თავისებურებანი ადამიანის ფსიქიკით არის განპირობებული. ადამიანს გააჩნია დროის/მოვლენიდან მოვლენამდე მონაკვეთის/პერიოდის შეგრძნების ე.წ.

ISSN 1512-1801

ბიოლოგიური საათი, რომელიც მას აძლევს შესაძლებლობას, გაზომოს დრო/მოვლენიდან მოვლენამდე მონაკვეთი/პერიოდი - უნარი, შეაფასოს გარკვეული მომენტიდან გასული დრო/პერიოდ. ე.წ. ბიოლოგიური საათი ადამიანს აძლევს საშუალებას, აღიქვას დრო. ბიოლოგიური საათი - ესაა ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე გარკვეული მეტ-ნაკლებად ზუსტი ბიოლოგიური პროცესები. შესაძლებელია ბიოლოგიურ საათზე ზემოქმედებაც. ამ შემთხვევაში ადამიანი გასულ დროის მონაკვეთს არასწორად შეაფასებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დრო არ არის მატერიალური და იგი არ არსებობს ობიექტური ფორმით. დრო პირობითი ცნებაა, საზომი ერთეული (წუთი, საათი, კვირა, თვე), მსგავსად სიგრძისა. დროის მეშვეობით იზომება A მოვლენიდან B მოვლენამდე გასული პერიოდი/მონაკვეთი.

ქაოსი და წესრიგი

წესრიგი და ქაოსი ორი უკიდურესობაა არსებულ სამყაროში. ქაოსი (ბერძ. Chaos) ძველ ბერძნულ მითოლოგიაში პირველყოფადი უსასრულო მასაა. გადატანითი მნიშვნელობით ქაოსი არის უწესრიგობა, არეულობა; გამოუცნობადი მოძრაობაა, რომლის დროსაც მოვლენათა ცვლილება არ ექვემდებარება არანაირ წესებს (არაპროგნოზირებადია). წესრიგი არის გარკვეული, კანონზომიერი მოძრაობა-უძრაობა, რომელიც დაქვემდებარებულია გარკვეულ წესებს/წესრიგს; მოძრაობა სივრცესა და დროში, სადაც მოვლენები იცვლებიან გარკვეული ზუსტი წესრიგის/წესების შესაბამისად. პლანეტების მოძრაობა (დედამიწის ბრუნვა, გალილეოს კომეტის პერიოდული გაჩენა), ვარსკვლავების გაჩენა და გაქრობა, საათის წიკწიკი - ეს ყველაფერი ხდება გარკვეული წესრიგის შესაბამისად და, მეორე მხრივ, ტურბულენტობის უწესრიგო მორევი, მტვრის ნაწილაკების სივრცეში გაბნევა, კიბეებიდან დაგორებული რკინის ბურთულას გამოუცნობი ტრაექტორიით ვარდნა -ხდება ქაოტურად, გამოუცნობად, ანუ არ არის პროგნოზირებადი. ამ დროს ყოველი შემდეგი მომენტი(მოვლენა) გამოუცნობია/არაპროგნოზირებადია. რეალურ სამყაროში გვერდიგვერდ ხდება უამრავი მოწესრიგებული და ქაოტური პროცესი. ეს პროცესები იწვევენ და ენაცვლებიან ერთმანეთს, ასევე, ერევიან/ითქვიფებიან ერთმანეთში. სამყაროში პროცესები მიმდინარეობენ ქაოტურად, ან გარკვეული კანონზომიერების/წესების შესაბამისად.

სამართლიანობა

(ფსიქიკურ-ფსიქოლოგიური ფენომენი)

ერთმანეთისაგან განასხვავებენ სამართლიანობის სხვადასხვა სახეს/ცნებას, ესენია:

1. მორალის სამართლიანობა;
2. სამართლებრივი (იურიდიული) სამართლიანობას;
3. სოციალური სამართლიანობა;
4. ეკონომიკური სამართლიანობა;
5. პოლიტიკური სამართლიანობა.

ჩვენ განვიხილავთ მორალური სამართლიანობისა და სამართლებრივი (იურიდიული) სამართლიანობის ურთიერთკავშირს (უპირველეს ყოვლისა მორალურ სამართლიანობას).

ISSN 1512-1801

ადამიანის გონება (ინტელექტი) - ეს არის ადამიანის უნარი იფიქროს, იაზროვნოს, აღიქვას, გაიგოს, გაიაზროს, განასხვაოს, გადაწყვიტოს, განჭვრიტოს/ივარაუდოს, შეაფასოს, შექმნას და ა.შ. ადამიანის გონების, ფსიქიკური და ფსიქოლოგიური თავისებურების პროდუქტს წარმოადგენს სამართლიანობის განცდა. ფსიქიკურ, ფსიქოლოგიურ-ლოგიკური დამოკიდებულება კონკრეტული მოვლენისადმი.

სამართლიანობის ან უსამართლობის განცდა - ეს არის გონების დამოკიდებულება კონკრეტული ფაქტისადმი/მოვლენისადმი, ამ ფაქტის/მოვლენის შეფასების საფუძველზე. ზოგადად, ადამიანის ემოციური ფონი იქმნება ორი პირველყოფადი/ძირითადი გამაღიზიანებლის მიერ, ეს არის ტკივილი და სიამოვნება.

ადამიანის გონებაში ჩნდება დამოკიდებულება, რომ ფაქტი/მოვლენა სამართლიანია, ან უსამართლო, რაც მხოლოდ და მხოლოდ ფსიქიკურ-ფსიქოლოგიური თავისებურების, ინდივიდუალურობის დამსახურებაა. სამყაროში, არ არსებობს ობიექტურად ,,კარგი და ცუდი'', ,,სამართლიანი ან/და უსამართლო''. მხოლოდ ადამიანი არქმევს მოვლენას „კარგს“ ან „ცუდს“ (სამართლიანს ან უსამართლოს). ლომი, რომელიც კლავს ანტილობას, არ არის ბოროტი (ცუდი/უსამართლო). ადამიანი, რომელიც გლახაკს განიკითხავს არ არის კეთილი (კარგი/სამართლიანი). რეალურად, დამოკიდებულება ამ ფაქტებისადმი მხოლოდ და მხოლოდ გონების შემოქმედებაა. თავის მხრივ, გონების ამ შემოქმედებას განაპირობებს უამრავი გარედან ზემოქმედი ფაქტორი. ადამიანს გამოცდილებათა გავლენით უგროვდება გარკვეულ პრინციპთა ერთობლიობა, რომელთა მიხედვითაც ის მოვლენებს სამართლიანად ან/და უსამართლოდ მიიჩნევს. ხშირად ეს პრინციპები ჩამოყალიბებულია საზოგადოების გავლენით/ზემოქმედებით.

სამართლიანობა და უსამართლობა - ესაა ადამიანთა მორალის აბსტრაქტული ქმნილება/ზეიმპერატივი. მცენარისათვის სამართლიანობის განცდა უცნობია. სამართლიანობის განცდა ჩნდება გონიერი არსების ცნობიერებაში. ადამიანის რთულმა და მოაზროვნე გონებამ შექმნა გარკვეული ფსიქიკურ-ფსიქოლოგიურ-ემოციური კონსტრქუცია, რომელსაც შემდგომ უწოდა სამართლიანობა. მორალური სამართლიანობა - ეს არის ადამიანის ემოციური ფონი/მდგომარეობა, რომელიც ჩნდება/იქმნება გარეგანი გამღიზიანებლების აღქმის (ანუ როგორ აღიქვამს ამ გამღიზიანებლებს ადამიანი) შესაბამისად. სამართლიანობის ან უსამართლობის განცდა არის შეფასებაზე დაფუძნებული ადამიანის გონების თვისობრივი დამოკიდებულება გარეგანი მოვლენებისადმი (ერთგვარი ემოციური ანარეკლი).

მორალი, თავის მხრივ, არის კულტურაზე, რელიგიაზე, ფილოსოფიაზე, ასევე, სხვა შინაგან და გარე რეგულატორებზე დაფუძნებული ადამიანთა ქცევის წესების სისტემა. მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ ადამიანის გარეშე, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამყაროში, რომელშიც არ არსებობენ გონიერი, რთული ნერვიული სისტემის მქონე ცოცხალი ორგანიზმები/არსებები, არ არსებობს სამართლის ის კონსტრუქცია, რომელიც დღეს არის სამყაროში, რომელშიც ვცხოვრობთ ჩვენ.

ISSN 1512-1801

მორალური სამართლიანობისა და სამართლებრივი(იურიდიული)სამართლიანობის ურთიერთკავშირი

წესები და ნორმები საზოგადოებაში ჩნდება ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერესებს შორის უთანხმოების არაძალადობრივი მოგვარება-გადაწყვეტისათვის.

სამართლებრივი სამართლიანობა - ეს არის საზოგადოებაში წესრიგისა და სტაბილურობის შენარჩუნება ინტერესთა ბალანსის მეშვეობით.

კანტმა პირველმა განსაზღვრა(განსაზღვრა თუ განასხვავა?) ერთმანეთისაგან მორალური და სამართლებრივი სამართლიანობა. იგი თვლიდა რომ ადამიანის გონი ავტონომიურია და მას არ სჭირდება ღვთიური ან ბუნებითი კანონების გათავისება. ის, რასაც ადამიანის გონება ეუბნება ადამიანს, უნდა ხდებოდეს ადამიანისათვის კანონი.[8] გონის იმპერატივთა უნივერსალურობა არ ნიშნავს იმას, რომ არსებობს ამ იმპერატივთა ზებუნებრივი წყარო, რამეთუ ნებისმიერი ასეთი ზებუნებრივი წყარო შეუცნობადია. კანტის აზრით, სამართლიანობა რეალიზდება იმ საზოგადოებრივ წყობაში, სადაც მბრძანებლობს გონის იმპერატივის შემდეგი აღიარება: მოქმედების ბოლო კრიტერიუმად გვევლინება მის უკან მდგარი შემწყნარებლობის პრინციპი(უნივერსალური პრინციპის სახით), რომელიც მისაღებია ყველასთვის,რადგან სხვა არაფერი შეიძლება იყოს გამართლებული გონით. იურიდიული სამართლიანობა საზოგადოებაში უნდა დაინერგოს და განხორციელდეს იძულებით, მხოლოდ ამ გზით შეიძლება ვივარაუდოთ მორალური სამართლიანობის განხორციელება/რეალიზება. იურიდიული სამართლიანობა დაფუძნებული უნდა იყოს მორალურ (ან ღვთიურ) სამართალზე. მისი მიზანი და ამოცანაა, უზრუნველყოს მორალური სამართლიანობის აღსრულების/განხორციელების შესაძლებლობა.

საზოგადოებაში, სადაც ურთიერთთანაცხოვრობს უამრავი ინდივიდი, აუცილებელი ხდება ადამიანთა ღირებულებების, მათი სიკეთეების, სიცოცხლის, ხელშეუხებლობის, ღირსების, პატივისა და სხვადასხვა ფასეულობის დაცვა - მორალური სამართლიანობის უზრუნველყოფა. იმისთვის, რომ სხვა ინდივიდთა მიერ არ შეილახოს მორალური სამართლიანობა, აუცილებელია საყოველთაოდ (საზოგადოების/ადამიანთა მიერ) აღიარებული მორალური ფასეულობების დაცვა (სიცოცხლე, ხელშეუხებლობა, პატივი, ღირსება, ქონება). ამ დაცვის განხორციელება კი სამართლებრივი სამართლიანობის გამტკიცებითა და განხორციელებითაა შესაძლებელი. სამართლებრივი სამართლიანობის დაცვითი ფუნქცია გამოიხატება სამართალდარღვევაზე(ადამიანთა უმრავლესობისათვის მიუღებელი ქცევა) რეაგირების ფორმით. იურიდიული სანქციების მუქარით სამართალი იცავს საზოგადოებას და ასრულებს გარკვულწილად რეპრესიულ ფუნქციას, აშინებს რა სასჯელით, იცავს სიკეთეს და ამ გზით ინარჩუნებს მორალური სამართლიანობის ხელშეუხებლობას. იურიდიული სამართლიანობა კონფლიქტებს აგვარებს მშვიდად, დავა წყდება არა ძლიერის სასარგებლოდ ან პირადი შეხედულებებისამებრ, არამედ სამართლის

[8] Johnson, R. (2004). *Kant's Moral Philosophy*. *Plato.stanford.edu*. Retrieved 9 June 2016, from http://plato.stanford.edu/entries/kant-moral/

ISSN 1512-1801

მოთხოვნების საფუძველზე. იგი ადგენს მოქმედების ზღვრულ თავისუფლებას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი ზღუდავს თავისულებას. როგორც ვიცით, აბსოლუტური თავისუფლება ვერ იარსებებს და მუშტის მოქნევის თავისუფლება იქ მთავრდება, სადაც სხვისი ცხვირი იწყება[9] იურიდიული სამართალი და მორალური სამართალი(სამართლიანობა) არსებითად და ფუნქციონალურად ერთმანეთისაგან განსხვავდება.

იურიდიული სამართალი სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს მიერ დადგენილი, შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა, რომელთა განხორციელებასაც სახელმწიფო იძულების აპარატით უზრუნველყოფს. იურიდიულ ლიტერატურაში სამართალი განმარტებულია, როგორც გარკვეული ფორმით ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი ქცევის წესების ერთობლიობა, რომელთა საყოველთაო-სავალდებულო შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით. მისი არსი რეალიზდება დაწერილი კანონების(პოზიტიური სამართალი) მეშვეობით. კანონი კი(დღეს), იურიდიული გაგებით, არის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მიღებული უმაღლესი იურიდიული ძალის სამართლის ნორმა, რომელიც გამოხატავს საზოგადოების უმრავლესობის ნებას(რამეთუ კანონშემოქმედებით ორგანოს ირჩევს საზოგადოება) და რომელიც არეგულირებს ყველაზე მნიშვნელოვან (აქტუალურ) საზოგადოებრივ ურთიერთობებს. იგი აყალიბებს სოციალური მართვის ნორმატიულ საფუძვლებს და, შესბამისად, ახორციელებს ორგანიზაციულ ფუნქციას. პოზიტიური სამართალი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგივეა, რაც „თამაშის წესები და ჩარჩო“, რომელთა მიხედვითაც უნდა „თამაშობდეს“ მთელი საზოგადოება.

სამართალი(კანონი) და მორალი

საზოგადოებაში არსებული ურთიერთობების რეგულირებაში სამართლისა და მორალის, როგორც რეგულატორების, დანიშნულებაა ზემოქმედება მოახდინოს და განსაზღვროს ადამიანთა ქცევები/საქციელები და ამით დაიცვას კონკრეტული ინდივიდების, სოციალური ჯგუფების, ან მთლიანად (აბსოლუტში) საზოგადოების ინტერესები. სამართალი ეს არის საერთო-სავალდებულო, ფორმალურად განსაზღვრულ იურიდიულ ნორმათა სისტემა, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს ნებას, რომელიც იქმნება, ინერგება, ხორციელდება და აღსრულდება სახელმწიფოს მიერ და რომელიც მიმართულია საზოგადოებაში არსებული ურთიერთობების მოწესრიგებისაკენ. ხოლო მორალი კი არის ისტორიულად განსაზღვრული ნორმების, შეხედულებების, პრინციპების, შეფასებების, მოსაზრებების, დასკვნების სისტემა, რომელიც გამოიხატება ადამიანთა ქცევებში, საქციელებში. ეს სისტემა არეგულირებს ადამიანთა ქცევებს „კარგისა“ და „ცუდის“,

[9] Thirteenth International Christian Endeavor Convention, *Held in Saengerfest Hall and Tent, Cleveland, Ohio, July 11-15, 1894, Heroes of Faith: Address of Rev. A.C. Dixon, Page 95, Published by United Society of Christian Endeavor, Boston, Massachusetts.*

ISSN 1512-1801

„სამართლიანობისა“ და „უსამართლობის“, „პატიოსნებისა“ და „უპატიოსნების“, „მისაღებისა“ და „მიუღებლის“, „მადლიერებისა“ და“უმადურობის“, „სინდისის“, „წესიერების“ და სხვა ანალოგიური მორალური კრიტერიუმების(კატეგორიების) პოზიციიდან. მორალის კრიტერიუმთა ერთიანი სისტემით ფასდება საზოგადოებაში არსებული(განხორციელებული) პრაქტიკულად უმეტესი ურთიერთობა და ცალკეული ინდივიდების ქცევა-საქციელები. მორალის უნივერსალური კატეგორიებია: „კარგი“(„სიკეთე“) და „ცუდი“(„ბოროტება“). ამ უნივერსალური კატეგირია-კრიტერიუმის საშუალებით ფასდება სხვა მორალური ცნებები, როგორებიცაა: ღირსება, სინდისი, წესიერება და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ სამართალსა და მორალს შორის კავშირი მჭიდრო და საკმაოდ რთულია შინაარსობრივად. სამართალი და მორალი, ადამიანთა სამართლებრივი (იურიდიული) და მორალური კულტურის ჩამოყალიბებისას/ფორმირებისას, ერთმანეთს ეხმარებიან საზოგადოებაში არსებული ურთიერთობების მოწესრიგებაში. სამართლისა და მორალის მოთხოვნები ხშირად ემთხვევა/შეესაბამება ერთმანეთს. სუბიექტთა მოქმედებები, რომლებიც მისაღებია ან მიუღებელია/გასაკიცხია სამართლის (კანონის) პოზიციიდან, ანალოგიურ/მსგავს შეფასებას იღებს მორალის პოზიციიდანაც(მაგ.:მკვლელობა, ქურდობა, ძარცვა და ა.შ.). ერთი მხრივ, სამართალი ავალდებულებს საზოგადოებას იურიდიული კანონების დაცვას; ხოლო, მეორე მხრივ, მორალი ავალდებულებს მორალური (მენტალური შეგნება, ისტორიული ჩვევები, ტრადიციული ქცევები/საქციელები, შეხედულებები და ა.შ.) კანონების დაცვას. სამართლისა და მორალის ურთიერთკავშირი ხშირად გამოიხატება მათს იდენტურ მოთხოვნებში, რომლებსაც ისინი ავალებენ ადამიანებს/საზოგადოების წევრებს. სამართალი და მორალი ეხმარებიან ერთმანეთს საერთო, „სასარგებლო“ მიზნების მიღწევაში (მათთვის დამახასიათებელი მეთოდებით). სამართლის (იურიდიული კანონების) ნორმები არის მორალის (მოთხოვნების) ნორმების დამკვიდრების, უზრუნველყოფისა და განხორციელების „გამართლებული“ საშუალება. სამართლის ნორმები აფიქსირებს და იცავს მორალურ ფასეულობებს. საბოლოო ჯამში, ვუბრუნდებით იმას, რომ მორალი კვლავინდებურად გამოდის/გვევლინება სამართლის(იურიდიული კანონების) განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმად. აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ე.წ. უნივერსალური მორალური გააზრება, სადაც ერთი და იგივე საქციელი ყველა ინდივიდისათვის თანაბრად მორალური ან/და ამორალური იქნება, ზუსტად ამიტომ არის რთული, ერთი მხრივ, ადამიანთა თანასწორობის იდეის საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფა, მეორე მხრივ, დომინანტი მორალური შეხედულების მხარდაჭერა. ზუსტად ასეთია ის საკითხები, რომლებიც ეხება, მაგალითად, ერთი სქესის მქონე პირთა ქორწინებას, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის იმავე ბიზნესგარემოში მოქცევას.

სამართლისა და მორალის სპეციფიკას წარმოადგენის ის, რომ მორალის ნორმებს შეუძლიათ, რომ გადაიქცნენ სამართლის(იურიდიული კანონის) ნორმებად, როდესაც მოხდება მათი იურიდიული ,,გაფორმება'' სახელმწიფოს მიერ. თავის მხრივ კი,

ISSN 1512-1801

სამართლის(იურიდიული კანონების) ნორმები, უმრავლეს შემთხვევაში, ივსება ეთიკური(მორალიდან გამომდინარე) მნიშვნელობებით. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ცალკეულ იურიდიულ ნორმებსაც შეუძლიათ გადაიქცნენ (იშვიათად) მორალურ ნორმებად(ტრადიციებად). ეს ხდება მაშინ, როდესაც ნორმები, რომლებიც ადრე მხოლოდ იურიდიულ კანონებში არსებობდნენ, გარდაიქმნებიან/გადაიქცევიან საერთო-საზოგადო მოქმედებათა წესებად, რომელთა შესრულებაც ხდება ნებაყოფლობითი და რომელთა განხორციელების/უზრუნველყოფის მექანიზმიც ხდება საზოგადოების აზრი/დამოკიდებულება. ზოგადად, სამართალი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მორალს, თუმცა რიგ შემთხვევებში სამართალიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს მორალური ნორმების ფორმირებას. სამართლისა და მორალის ნორმები განაპირობებენ, წარმოშობენ, ავსებენ, ცვლიან, წყვეტენ, ურთიერთზემოქმედებენ ერთმანეთზე საზოგადოებაში არსებული ურთიერთობების მოწესრიგებისას. ასეთი ურთიერთზემოქმედების ობიექტური განპირობებულობა განისაზღვრება იმით, რომ სამართლის(იურიდიული) კანონები ხშირად შეიცავენ ჰუმანურობის, მორალური სამართლიანობის, ეთიკის, თანასწორობის პრინციპებს(თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ეწინააღმდეგებიან მათ). ყოველივე ეს პრინციპები შექმნილია და ჩამოყალიბებულია ზეიმპერატივებად ადამიანის გონების მიერ. სამართლებრივი სახელმწიფოს კანონები შეიცავენ/ატარებენ „თანამედროვე“(ეპოქის/დროის შესაბამისი) საზოგადოების უმაღლეს მორალურ მოთხოვნებს. ის, რაც მოცემულ დროის მონაკვეთში საზოგადოების უმრავლესობას მიაჩნია „სამართლიანად“ ან „უსამართლოდ“ აისახება იურიდიულ კანონებში. სამართლის ნორმათა ზუსტი რეალიზაცია, იმავდროულად, ნიშნავს საზოგადოების ცხოვრებაში მორალის მოთხოვნათა გატარებას. თავის მხრივ, მორალის ნორმებიც დიდ/აქტიურ გავლენას ახდენენ სამართლის ნორმების შექმნასა და განხორციელებაზე (რეალიზაციაზე).

სახელმწიფოს უფლებამოსილი, კომპეტენტური, კანონშემოქმედებითი ორგანოები სამართლის(იურიდიული) ნორმების შექმნისას ითვალისწინებენ მორალის აღიარებულ და საზოგადოდ(საყოველთაოდ) მიღებულ უნივერსალურ კრიტერიუმებს(თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი უნივერსალური კრიტერიუმები, რეალურად, ობიექტურად არ არსებობს). ისინი ხელმძღვანელობენ ამ კრიტერიუმებით. მორალის ნორმები გავლენას ახდენს სამართლებრივი (იურიდიული) ნორმების გამოყენების პროცესშიც - უფლებამოსილი, კომპეტენტური ორგანოს მიერ(სასამართლო) დავების გადაწყვეტაზე.

პოზიტიური და ბუნებითი სამართალი

პოზიტიური სამართალი(ოფიციალურად აღიარებული სამართალი) არის სახელმწიფოს კანონშემოქმედებითი ორგანოს მიერ მიღებული სამართალი (კანონები), რომელიც მოქმედებს სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. ესაა სამართალი(უფლება-მოვალეობები), რომელიც გამოსახულია იურიდიულ კანონმდებლობაში. პოზიტიური სამართალი უმთავრესად მომდინარეობს სახელმწიფოსგან ან/და მის მმართველი სტრუქტურებისაგან. პოზიტიური სამართალი კონსტრუირებულია სახელმწიფოს მოდელისა და სახის შესაბამისად, იგი ასახავს იმ ჯგუფთა და საზოგადოების ფენათა ინტერესებსა და ნებას, რომლებსაც ეს სახელმწიფო უპირატესად წარმოადგენს და იცავს. პოზიტიურ სამართალს

ISSN 1512-1801

აქვს გამოსახვის ოფიციალურ-დოკუმენტური ფორმა, რომელიც ხორციელდება კანონებში, ან სხვა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში. პოზიტიური სამართალი - ესაა სამართალი, რომელიც ვლინდება მხოლოდ კანონებში.

პოზიტიური სამართალი წარმოიქმნება სახელმწიფოსთან ერთად. წარმოქმნილი სახელმწიფო(საზოგადოებასა და ტერიტორიაზე განხორციელებული ორგანიზებული, ერთიანი ძალაუფლება) მიისწრაფვის, თავს მოახვიოს მმართველი ფენის(კლასის, ჯგუფის) ნება მთელ(დანარჩენ) საზოგადოებას. ამისთვის იგი გამოსცემს სხვადასხვა აქტს, რომლებშიც გამოხატავს ამ ნებას(ფორმალური-იურიდიული თვალსაზრისიდან საყოველთაოდ სავალდებულო დადგენილებებს (ქცევის წესებს-იურიდიულ ნორმებს)). ამ და ამდაგვარ ნორმათა/დადგენილებათა ერთობლიობა, რომლებიც მიიღება სახელმწიფოსა და მისი მმართველი ორგანოების მიერ, არის პოზიტიური სამართალი. იმის გამო, რომ პოზიტიური სამართლის განხორციელება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს იძულებითი აპარატით, იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოდის საზოგადოების მართვის, მისი ურთიერთობების რეგულირების მთავარ, ძირითად ნორმატიულ სისტემად (მექანიზმად). იგი სამართალია, რომელიც მოქმედებს მოცემულ(არსებულ) მომენტში.

ისტორიულად პოზიტიური სამართლის მოძღვრება ჩამოყალიბდა ბუნებითი სამართლის სკოლის გავლენით, რომლის კონცეფციის მიხედვითაც თითოეული ქვეყნის მოქმედი სამართალი, რომელიც იცვლება კანონშემოქმედის ნებით, საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად(და ამ ცვლილებათა გამო), უპირისპირდება ბუნებით სამართალს, რომელიც საერთოა მთელი კაცობრიობისათვის და რომელიც უცვლელი და მარადიულია და რომელიც თვით ადამიანის ბუნებით განისაზღვრება. ტერმინი „პოზიტიური სამართალი“ მეცნიერებაში გამოიყენება მოქმედი სამართლებრივი(იურიდიული) ნორმების დასახასიათებლად, აღსანიშნავად და მათ გამოსაყოფად გაუქმებული, ან ძალადაკარგული ნორმებისაგან, ასევე, ჯერ მიუღებელი(ძალაში არ შესული) ნორმებისაგან, რომელთა სამომავლო შემოღებაც სასურველია, ან ივარაუდება (კანონების პროექტები, წინადადებები, მოთხოვნები, სამართლებრივი იდეები). ამ შინაარსით პოზიტიური სამართლის განსაზღვრისათვის/აღნიშვნისათვის იყენებენ გამოთქმას „de lege lata“ (მოქმედი კანონით), ხოლო, თუ მოცემული საკითხი მოქმედი კანონით არ არის მოწესრიგებული/განსაზღვრული, მაგრამ მისი გადაწყვეტა სასურველია, იყენებენ გამოთქმას „de lege ferenda“ (მომავალი, სავარაუდო კანონით).

ბუნებითი სამართლის ძირითადი თეზისი(ჰობსი, მონტესკიე, რუსო) მდგომარეობს იმაში, რომ „სამართალი“ იურიდიულ ნორმებთან(რომლებსაც სახელმწიფო განსაზღვრავს) ერთად, საკუთარ არსში/თავში მოიცავს ბუნებით სამართალსაც. ბუნებითი სამართლის ქვეშ იგულისხმება უფლებათა(შესაბამისად, მოვალეობათა) ერთობლიობა, რომლებსაც ყველა ადამიანი ფლობს ბუნების ძალით და რომელთა წარმოშობაც დაკავშირებულია/ხდება დაბადების ფაქტით. ეს უფლებებია: სიცოცხლის, თავისუფლების, თანასწორობის, კერძო საკუთრების უფლება, ასევე, ბედნიერების უფლება და მრავალი სხვა. სახელმწიფოს არ შეუძლია ამ განუყოფელი და ბუნებითი უფლებების ხელყოფა.

ISSN 1512-1801

ბუნებითი სამართლის თეორიის წარმოშობა დაკავშირებულია რევოლუციურ-ბურჟუაზიური იდეოლოგიის განვითარებასთან, XVII-XVIII საუკუნეებში. ბუნებითი სამართლის შესახებ მოძღვრებით, თანამედროვე მოდიფიკაციის მიხედვით, პოზიტიური სამართალი, ანუ სახელმწიფოს მიერ დადგენილი საყოველთაოდ სავალდებულო ნორმები, „სამართლად“ აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ ეწინააღმდეგებიან ბუნებით სამართალს, რომელიც გამომდინარეობს ადამიანის ბუნებიდან, ანუ, თუ არ ეწინააღმდეგება თავისუფლების, თანასწორობის, სამართლიანობის საერთო-საყოველთაო პრინციპებს, რომლებიც საერთოა ყველა ადამიანისათვის/მთელი საზოგადოებისათვის.

დასკვნი სახით:

ტექსტში მიმდინარე მსჯელობისას შევეცადეთ, გაგვერკვია, თუ რას წარმოადგენს სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, როგორია მასში მიმდინარე პროცესები და როგორ ვითარდება ეს პროცესები დროსა და სივრცეში. ასევე, გაგვემახვილებინა ყურადღება, თუ როგორ აღიქვამს ადამიანი ამ პროცესებს. ყურადღება შევაჩერეთ სამართლიანობისა და უსამართლობის ობიექტურ და სუბიექტურ ფორმებზე, განვიხილეთ ადამიანის მიერ სამართლიანობისა და უსამართლობის განცდის გავლენა ჯერ მორალის, ხოლო შემდგომ პოზიტიური სამართლის ფორმირებასა და შექმნაზე, რის შედეგადაც მივიღეთ ზოგადი სურათი, რომელიც, ვფიქრობ, პასუხობს კითხვაზე - რა არის სამართალი? იგი ბუნებაში არსებული ფენომენია, თუ ადამიანის ხელოვნური ქმნილება. გონივრულია ვთქვათ, რომ ადამიანის ინდივიდუალურობა ბუნების შემოქმედებაა და, თავის მხრივ, ფენომენია, ხოლო ის წესები, რომლებსაც ადამიანი ქმნის(იგონებს) არ წარმოადგენს დედაბუნების ქმნილებას და მხოლოდ ადამიანის ფიქრისა და შეგრძნებების პროდუქტია. ვერ ვიტყვით იმას, რომ, რადგან ადამიანი (ფიზიკურად და მორალურად) ბუნებამ შექმნა, ყოველივე ის, რასაც ადამიანი ქმნის, თავისთავად ბუნების შემოქმედებად უნდა ჩაითვალოს. ეს იქნებოდა იგივე, რომ მხატვრული, არქიტექტორული, საინჯინერო, სამედიცინო და ა.შ. მიღწევებისა და ქმნილებების(გამოგონებების) შექმნა დედაბუნებისათვის მიგვეწერა(მაგ.: რომანი, ცათამბჯენი, კომპიუტერი, ოპერაცია). მსგავსად ზემოხსენებულისა, ადამიანის საქმიანობისა და მოღვაწეობის დარგების იურისპრუდენციაც ადამიანის ინტელექტის შემოქმედებაა(იგი იქმნებოდა და ვითარდებოდა საუკუნეების განმავლობაში).

როგორც უკვე ვთქვით, სამყაროს ზოგადი აღწერისას, მასში მოქმედებს გარკვეული კანონები. ეს კანონები წარმოიშვა დასაწყისიდანვე(პირობითად სამყაროს წარმოშობიდანვე, თუ იგი ოდესმე წარმოიშვა) და უცვლელად განაგრძობს არსებობასა და მოქმედებას. ადამიანებს არ ძალუძთ მათი თავიდან წარმოქმნა, შეცვლა ან გაუქმება. ისინი თვით ბუნებამ წარმოქმნა და უკვე მზა ფორმით/სახით შესთავაზა ადამიანს და არა მხოლოდ მას. კანონზომიერება სამყაროს ერთ-ერთი თვისებაა და იგი, როგორც არსებული ფენომენი, არ არის ადამიანის მიერ ხელოვნურად შექმნილი. სამყაროში/ბუნებაში არსებობს მხოლოდ ფიზიკური კანონები. სამყაროში პროცესები მიმდინარეობს ქაოსურად, ან დაწყობილად (კანონზომიერად), ორი უკიდურესობის მიხედვით.

ISSN 1512-1801

სამყაროში ცვლილებებს იწვევს მიზეზშედეგობრივი კავშირები. დრო კი ობიექტური ფორმით არ არსებობს. მიზეზიდან შედეგამდე გარკვეული პერიოდის/მონაკვეთის განმავლობაში ვითარდება პროცესი. მოვლენიდან მოვლენამდე გარკვეული პერიოდია, მონაკვეთია. ამ პერიოდის/მონაკვეთის აღსანიშნავად პირობითად ვიყენებთ დროის ცნებას, რომელიც სიგრძის ცნების იდენტურია. დრო - ეს არის მხოლოდ საზომი ერთეული, მსგავსად სიგრძისა. დროის მეშვეობით ვზომავთ მონაკვეთს (პერიოდს) ერთი მოვლენიდან მეორე მოვლენამდე. ბუნებაში კი არ არსებობს დრო, ზუსტად ისე, როგორც არ არსებობს სიგრძე.

ადამიანის გონების, ფსიქიკური და ფსიქოლოგიური თავისებურების პროდუქტს წარმოადგენს სამართლიანობის განცდა - ფსიქიკურ, ფსიქოლოგიურ-ლოგიკური დამოკიდებულება კონკრეტული მოვლენისადმი. სამართლიანობის ან უსამართლობის განცდა - ეს არის გონების დამოკიდებულება კონკრეტული ფაქტისადმი/მოვლენისადმი, ამ ფაქტის/მოვლენის შეფასების საფუძველზე.

ზოგადად, ადამიანის ემოციური ფონი იქმნება ორი პირველყოფადი/ძირითადი გამღიზიანებლისაგან, ესენია: ტკივილი და სიამოვნება. ადამიანის გონებაში ჩნდება დამოკიდებულება, რომ ფაქტი/მოვლენა სამართლიანია, ან უსამართლო, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ფსიქიკურ-ფსიქოლოგიური თავისებურების, ადამიანობის ინდივიდუალურობის დამსახურებაა. სამყაროში არ არსებობს „კარგი“ და „ცუდი“ („სამართლიანი“ ან „უსამართლო“), მხოლოდ ადამიანი არქმევს მოვლენას „კარგს“, ან „ცუდს“(სამართლიანს, ან უსამართლოს). მორალური სამართლიანობა არაა სტატიკური, იგი დინამიკურია და იცვლება დროის სვლასთან ერთად.

მორალი წარმოადგენს ისტორიულად განსაზღვრული ნორმების, შეხედულებების, პრინციპების, შეფასებების, მოსაზრებების, დასკვნების სისტემას, რომელიც გამოიხატება ადამიანთა ქცევებში. ეს სისტემა არეგულირებს ადამიანთა ქცევებს „კარგისა“ და „ცუდის“, „სამართლიანობისა“ და „უსამართლობის“, „პატიოსნებისა“ და „უპატიოსნების“, „მისაღებისა“ და „მიუღებლის“, „მადლიერებისა“ და“უმადურობის“, „სინდისის“, „წესიერებისა“ და სხვა ანალოგიური მორალური კრიტერიუმების (კატეგორიების) პოზიციიდან. მორალის კრიტერიუმთა ერთიანი სისტემით ფასდება საზოგადოებაში არსებული (განხორციელებული ან/ განსახორციელებელი) ყველა ურთიერთობა და ცალკეული ინდივიდების ქცევა-საქციელები. მორალის უნივერსალური კატეგორიებია: „კარგი“(„სიკეთე“) და „ცუდი“(„ბოროტება“). ამ უნივერსალური კატეგორიების საშუალებით ფასდება სხვა მორალური ცნებები.

წესები და ნორმები საზოგადოებაში ჩნდება ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერესებისას უთანხმოების არაძალადობრივი მოგვარება-გადაწყვეტისათვის. იურიდიული სამართლიანობა - ესაა საზოგადოებაში წესრიგისა და სტაბილურობის შენარჩუნება ინტერესთა ბალანსის მეშვეობით. საზოგადოებაში, სადაც ურთიერთთანაცხოვრობს უამრავი ინდივიდი, აუცილებელი ხდება ადამიანთა

ISSN 1512-1801

ღირებულებების, მათი სიკეთეების, სიცოცხლის, ხელშეუხებლობის, ღირსების, პატივის, და სხვადასხვა ფასეულობის დაცვა, მორალური სამართლიანობის უზრუნველყოფა. იმისთვის, რომ სხვა ინდივიდთა მიერ არ შეილახოს მორალური სამართლიანობა, აუცილებელია საყოველთაოდ(საზოგადოების/ადამიანთა მიერ) აღიარებული მორალური ფასეულობების დაცვა(სიცოცხლე, ხელშეუხებლობა, პატივი, ღირსება, ქონება). ამ დაცვის განხორციელება კი იურიდიული სამართლიანობის გამტკიცებითა და განხორციელებითაა შესაძლებელი.

იურიდიული სამართალი სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს მიერ დადგენილი, შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა, რომელთა განხორციელებასაც სახელმწიფო იძულების აპარატით უზრუნველყობს. იურიდიული სამართლის არსი რეალიზდება დაწერილი კანონების მეშვეობით. სამართალი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგივეა, რაც „თამაშის წესები და ჩარჩო“, რომელთა მიხედვითაც უნდა „თამაშობდეს“ მთელი საზოგადოება.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებულიდან ნათელია, თუ რა არის სამართალი, დამატებით მაინც უნდა აღინიშნოს მისი წარმოშობის შესაძლო მიზეზები.

მოაზროვნე ინდივიდის, განსახილველ შემთხვევაში ადამიანის, ცნობიერებაში სხვა განცდებს შორის გაჩნდა ორი განცდა: სამართლიანობა და უსამართლობა. სამართლიანობა ინდივიდს კარგი, დადებითი ჰგონია(სიამოვნებს), ხოლო უსამართლობა ცუდი, უაროფითი(შესაბამისად, არ სიამოვნებს). თავის მხრივ, სამართლიანობისა და უსამართლობის განცდა გამოწვეულია ორი ძირითადი ფაქტორით - ტკივილითა და სიამოვნებით.

მაშინ, როცა ადამიანის ცნობიერებაში გაჩნდა უსამართლობის განცდა, მან, როგორც გამოსავლის მაძიებელმა არსებამ (რამეთუ ადამიანის გონებას ძალუძს შემოქმედება), დაიწყო იმ საშუალებათა ძიება, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სამართლიანობას. სამართლიანობის უზუნველსაყოფად და უსამართლობის შესამცირებლად საჭირო გახდა სხვადასხვა(ჟესტიკულარული, ვერბალური, ან შემდგომ წერილობითი) ინსტიტუტის შექმნა, მაგალითად, როგორიცაა სამართალი. გარკვეულ ეტაპზე ადამიანები მიხვდნენ, რომ წესების შედგენით, რომლებიც დაიცავდნენ ადამიანთა (ჯგუფის) ინტერესებს და რომლებიც ყველასთვის სავალდებულო იქნებოდა, უსამართლობა შემცირდებოდა, მაგრამ აქამდე მისასვლელად ადამიანს დიდი გზის გავლა მოუხდა.

წარმოვიდგინოთ მაგალითი[10]: პირველყოფილი ადამიანები, რომლებიც შეიძლება ჯერ კიდევ ცხოველის ტყავით არ არიან შემოსილნი, მიდიან სანადიროდ. მათ მოინადირეს

[10] პირველი მაგალითის სახით შემიძლია, რომ შემოგთავაზოთ შემდეგი კონსტრუქცია: იმისთვის, რომ პირველყოფილ ადამიანს მოენადირებინა მსხვილი ნადირი, მას ესაჭიროვებოდა სხვა დამიანის, ან ადამიანთა დახმარება, ვინაიდან, ემპირიულმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ, როდესაც ერთი მიდიოდა მსხვილი ნადირის მოსანადირებლად, ის ხშირად აღარ ბრუნდებოდა, ან სხვები ხედავდნენ, როგორ უმკლავდებოდა მსხვილი

ISSN 1512-1801

ირემი, ტახი. ეს მათი ხვალინდელი სადილია. ისინი კმაყოფილნი ბრუნდებიან სახლებში(გამოქვაბულებში), მაგრამ უცხოტომელები მათ ჩაუსაფრდნენ, სძლიეს და მთელი ნანადირევი წაართვეს. მომდევნო დღეს ჩვენი ნაცემი და მშიერი მონადირეები იშუშებდნენ ბრძოლისას მიღებულ ჭრილობებს. მათ გაუჩნდათ უსამართლობის განცდა. რატომ წაგვართვეს ის, რაც ჩვენ მოვიპოვეთ?! რატომ გვცემეს?! მათ სტკიოდათ და შიოდათ სხვისი მოქმედების გამო. სწორედ ეს გახდა უსამართლობის განცდის წარმომქმნელი წინაპირობა და მიზეზი. მათ დაიწყეს ფიქრი, თუ როგორ შეიძლებოდა, დაეცვათ თავი და აერიდებინათ უსამართლობა. ადამიანმა უსამართლობასთან საბრძოლველად უამრავი საშუალება გამოცადა. სამართლიანობის აღსადგენად ძალადობაზე ძალადობით პასუხობდნენ, მუქარაზე - მუქარით; შეურაცხყოფაზე - შეურაცხყოფით. დროთა განმავლობაში შეიქმნა ჯგუფები, გვარები, რომლებიც რამდენიმე ოჯახისაგან შედგებოდა. მათი ყოველდღიური საქმეების უკეთ გაძღოლისათვის, მათი მოქმედებების ორგანიზაციისთვის და მათ შორის ურთიერთობებში სამართლიანობის უზრუნველსაყოფად მათ დასჭირდათ ხელმძღვანელი, რომელიც იქნებოდა ისევ მათ შორის(ჯგუფში), საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და სიკეთეების(სამართლიანობის) დამცველი. ასე გამოიკვეთა საზოგადოებაში პირველი მმართველი სუბიექტები, რომლებიც დასაბამს უდებენ მეფის, ფარაონის, იმპერატორის კულტსა და სახელმწიფოს.

მოკლედ რომ ითქვას, ადამიანის განცდებს შორის გამოერია სამართლიანობისა და უსამართლობის განცდა. უსამართლობის განცდამ კი აიძულა ადამიანი, ემოქმედა და მიემართა სხვადასხვა სახის ღონისძიებებისადმი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სამართლიანობას. უსამართლობიდან სამართლიანობისაკენ გზაზე ადამიანმა გამოცადა ბევრი ხერხი და საშუალება, რათა დაეცვა სამართლიანობა. ადამიანი მიხვდა, რომ სამართლიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა სხვისი მოქმედების კონტროლი, უფრო სწორედ კი - სხვისი ქცევის გარკვეულ საზღვრებში მოქცევის უზრუნველყოფა. ამიტომ საჭირო გახდა ისეთი საშუალების მოფიქრება, რომელიც უზრუნველყოფდა ადამიანთა ქცევის კონტროლს. ადამიანთა უბრალო შეთანხმება, რომ ისინი მოიქცეოდნენ „კარგად“ და არა „ცუდად“, არ გამოდგა მყარი, რადგან ცდუნებისას ყოველთვის მოიძებნება ვიღაც, ვინც დაარღვევს შეთანხმებას. ამიტომ გახდა საჭირო შეთანხმებების უზრუნველყოფა. ეს უზრუნველყოფა უნდა ყოფილიყო ძალადობრივი, რამეთუ სასჯელის შიშის გარეშე შეთანხმების დარღვევისაგან დაცვა შეუძლებელი გახდებოდა. მხოლოდ ძალადობის შიშით თუ აიძულებდნენ შეთანხმების სუბიექტებს, დაეცვათ ის წესები, რომელთა ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს მათი ქცევები. თავიდან ეს წესები იყო ზეპირი, შემდგომ მათი

ნადირი ერთ ადამიანს. ამიტომ ადამიანებმა დაიწყეს მსხვილფეხა ნადირზე ჯგუფურად ნადირობა. ნადირობის შემდეგ ისინი იყოფდნენ ნანადირევს, რა დროსაც ფიზიკურად უფრო ძლიერმა ადამიანმა დაჯაბნა ფიზიკურად უფრო სუსტი და/ან არ გაუყო მას ნანადირევი, ან ნანადირევის ის ნაწილი შესთავაზა/მისცა, რომელიც სხვა ნაწილებთან შედარებით გამოუსადეგარი იყო კვებისათვის. ამ დროს ფიზიკურად უფრო სუსტ ადამიანს გაუჩნდა უსამართლობის ფსიქო-ფსიქოლოგიური განცდა. ამის შემდეგ შესაძლოა, მან შური იძია იმ ადამიანზე, რომელმაც გაუჩინა ეს უსამართლობის შეგრძნება, მაგალითად, მოკლა ის მძიმე საგნით. ზუსტად ასეთი შემთხვევების ორმხირვი აცილების უზრუნველსაყოფისათვის შეიქმნა სამართალი.

ISSN 1512-1801

დახვეწისა და მტკიცების გასაადვილებლად ისინი გახდნენ წერილობითი. ამ წერილობითი წესების უზრუნველსაყოფად საჭირო გახდა შესაბამისი ფიზიკური ძალის მოძიება. თავიდან წესების უზრუნველყოფა ევალებოდა ტომის ბელადს, მის ავტორიტეტს, შემდგომ წესების უზრუნველყოფა საკუთარ თავზე აიღეს მეფეებმა და სხვა გაბატონებულმა სუბიექტებმა, რომელთაც შეეძლოთ ფიზიკური ძალის გამოყენებით საზოგადოების იძულება, რათა მას დაეცვა წესები.

დღევანდელობაშიც საყოველთაო წესების უზრუნველყოფა სხვადასხვანაირად ხდება. თუმცა, ამ წესების უზრუნველსაყოფად ყველგან ფიზიკური ძალა გამოიყენება, რადგან ძალადობრივი აპარატის გარეშე წესები არ შესრულდება და მხოლოდ სიტყვებად ან სტროფებად დარჩება ქაღალდზე.

მაშ ასე, პოზიტიური სამართლის წამოშობის, განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესი შემდეგია: - -> ემოცია -> სამართლიანობა/უსამართლობა -> უსამართლობის დაძლევისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის მოთხოვნილება -> უზრუნველყოფის გზების/მეთოდების ძიება -> სამართლიანობის უზრუნველსაყოფად საყოველთაოდ სავალდებულო წესების ჩამოყალიბება -> საყოველთაოდ სავალდებულო წესების განხორციელების უზრუნველმყოფი საშუალებების დანერგვა -> შედეგი: საყოველთაოდ სავალდებულო წესების შემოღება, რომელთა მეშვეობითაც დაცულია საზოგადად აღიარებული სამართლიანობისა და ჰუმანურობის პრინციპები და ინტერესები, და რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფილია დარწმუნებითა და სახელმწიფოს იძულებითი აპარატით(ფიზიკური ძალით).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bloom, F. (1998). Breakthroughs 1998. *Science*, *282*(5397), 2193-2193. http://dx.doi.org/10.1126/science.282.5397.2193
2. Johnson, R. (2004). *Kant's Moral Philosophy*. *Plato.stanford.edu*. Retrieved 9 June 2016, from http://plato.stanford.edu/entries/kant-moral/
3. *Supernova Cosmology Project*. (2016). *Supernova.lbl.gov*. Retrieved 6 June 2016, from http://supernova.lbl.gov/
4. გიორგი, თ. (2016). *საჯარო ლექცია: სამართალი, ბუნებაში არსებული ფენომენი თუ ადამიანის მიერ შემქნილი სისტემა? ნაწილი I*. *YouTube*. Retrieved 9 June 2016, from https://www.youtube.com/watch?v=5IkMIPfPE1k
5. თუმანიშვილი, გ. (2016). *საჯარო ლექცია: სამართალი, ბუნებაში არსებული ფენომენი თუ ადამიანის მიერ შექმნილი სისტემა? ნაწილი II*. *YouTube*. Retrieved 9 June 2016, from https://www.youtube.com/watch?v=TmRL-Y4enpM

Article received: 2016-09-15